წლიური ანგარიში 2019

ადამიანის
უფლებათა
ცენტრი
(HRC)

წლიური ანგარიში 2019

ალეკო ცქიტიშვილი,
აღმასრულებელი დირექტორი

2019 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრი 23 წლის გახდა. საქართველოში უფლებადამცველი ორგანიზაციისთვის ეს საკმაოდ დიდი ასაკია, რაც ორგანიზაციის წევრებს სიამაყის გრძნობას გვიჩენს. ამავე დროს, გაათმაგებული პასუხისმგებლობით ვეკიდებით ჩვენს ყველა პროექტს და იმ საქმეებს, რასაც ადმინისტრაციულ ორგანოებთან ან სასამართლოში ვაწარმოებთ.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ოპერატიულად ერთვება ყველა საქმეში, სადაც ადამიანის უფლების უხეში დარღვევა იკვეთება, სადაც სახელმწიფო, როგორც ინსტიტუციური სისტემა, ხშირად ერთი მოქალაქის წინააღმდეგ ილაშქრებს და ეს მოქალაქე განსაკუთრებულად დაუცველი და მოწყვლადია. ასეთ დროს ორგანიზაცია იცავს არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მთლიანად საზოგადოების ინტერესებს.

2019 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებს რამდენიმე ასეთი სტრატეგიული საქმე ჰქონდათ. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, ნესტან ლონდარიძე იცავდა თბილისში ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის, დავით სარალიძის ოჯახის ინტერესებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი, ფაქტობრივად, იყო

ყველგან, სადაც კი დაზარალებულ ოჯახს უჭირდა. გზადაგზა მართლმსაჯულების სისტემაში იმდენი პრობლემა და დანაშაული გამოიკვეთა, რომ მრავალათასიან საპროტესტო აქციებზე მთელი სამოქალაქო საზოგადოება გაერთიანდა ერთი ადამიანის დასაცავად, რის შედეგადაც მთავარი პროკურორი იძულებული გახდა, გადამდგარიყო, პარლამენტში კი შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელმაც მნიშვნელოვანი დასკვნა გამოაქვეყნა ამ საქმესთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის შედეგად ორგანიზაცია, ერთი მხრივ, ახდენს უფლებადარღვევათა დოკუმენტირებას, რაზეც ინფორმაცია თავს იყრის სპეციალურ თუ შემაჯამებელ ყოველწლიურ ანგარიშებში, მეორე მხრივ კი, უფასო იურიდიული დახმარების გზით, იცავს კონკრეტულ ადამიანებს, რომელთა უფლებები დაირღვა სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან.

ცენტრი იცავს სიძულვილის ნიადაგზე მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის ოჯახის სამართლებრივ ინტერესებს. ორგანიზაციის შეფასებით, უფლებადამცველის სასტიკმა მკვლელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რეალური საფრთხის არსებობა საზოგადოებისთვის, რაც ბოლო წლებში გაზრდილი ნეონაცისტური/ფაშისტური შეხედულების ჯგუფებიდან მომდინარეობს, რასაც ახალისებს და ხელს უწყობს სახელმწიფოში არარსებული პოლიტიკური ნება, ასევე - სახელმწიფოს უმოქმედობა ექსტრემისტი და ნაციონალისტური ჯგუფების აშკარად დანაშაულებრივი ხასიათის ქმედებებისას და მოწოდებებისას.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა გააძლიერა სტრატეგიული სამართალწარმოების მიმართულება. ეროვნულ დონეზე შესაძლებლობების ამოწურვის შემდგომ, ორგანიზაცია მოქალაქეებს უმზადებს საჩივრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის. ცენტრი ასევე ეხმარება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ მოქალაქეებს და ამავე დროს, აწარმოებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების მონიტორინგს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საერთაშორისო (CICC) და საქართველოს (GCICC) კოალიციების წევრი ორგანიზაცია. 2018-19 წლებში კი იყო საქართველოს კოალიციის (GCICC) თავმჯდომარე ორგანიზაცია.

ცენტრი არის კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წევრი, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, სხვა ორგანიზაციებთან ერთად დააკვირდეს მართლმსაჯულებაში მიმდინარე პროცესებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარების ანალიზს და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვას. ცენტრის იურისტები არიან სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტთა ჯგუფის წევრები და სისტემატიურად ახორციელებენ პენიტინციური დაწესებულებების მონიტორინგს. ამავე დროს, გრძელდება ცენტრისა და სახალხო დამცველის ურთიერთთანამშრომლობის ტრადიცია. 2019 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ასახავს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, სახალხო დამცველის

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, ოთხ პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

2020 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი, როგორც გამოცდილი დამკვირვებელი ორგანიზაცია, საქართველოს პარლამენტის არჩევნებს დააკვირდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან - ავტორიტეტულ ორგანიზაციებთან, კოალიციებთან და ქსელებთან, როგორიცაა: ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის, ადამიანის უფლებათა სახლების ქსელი და სხვა.

ნინო ცაგარეიშვილი
თანადირექტორი

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობა მხარდაჭერილია სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ. დონორების მზარდი ნდობა გვიტოვებს იმედს, რომ ორგანიზაცია კიდევ უფრო განვითარდება და შეასრულებს სამომავლოდ დასახულ გეგმებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ამ საქმიანობას ორგანიზაცია ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს.

აგვისტოს ომიდან 12 წლის შემდეგ ომის დროს ჩადენილი დანაშაულები კვლავ გამოუძიებელია - სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არ მიცემულა არც ერთი დამნაშავე პირი. უკვე ოთხი წელია, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო იძიებს ომის დროს ჩადენილ სავარაუდო საერთაშორისო დანაშაულებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებული, დაახლოებით, 200 ადამიანის ინტერესს იცავს როგორც ეროვნულ, ასევე - საერთაშორისო დონეზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

წლების განმავლობაში ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხვადასხვა ორგანოსთან, მათ შორის - დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციების სექციასა და სასამართლოსთან არსებულ დაზარალებულთა ნდობის ფონდთან. ორგანიზაცია ინფორმაციას აწვდის სასამართლოსა და მის შესაბამისს ორგანოებს დაზარალებულთა ამჟამინდელ საჭიროებებსა და იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რაც აგვისტოს ომის გამოძიებას ახლავს თან. ეს საქმიანობა მიზნად ისახავს აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიების ხელშეწყობასა და დამნაშავე პირების გამოვლენას, ასევე - დაზარალებულთა ამჟამინდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას. ადამიანის უფლებათა ცენტრი, ასევე, აგრძელებს ეროვნულ დონეზე ამ მიმართულებით ადვოკატირებას.

2019 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი საერთაშორისო დონეზე კვლავ აქტიურად უწევდა ადვოკატირებას საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად, გენერალურმა პროკურატურამ 49 პირს მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი.

საერთაშორისო დონეზე ადვოკატირების ფარგლებში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილებაში მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელ ყოველწლიურ შეხვედრაში,

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ფორმატსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეაში. ამ ფორმატებში საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებს გავაცანით 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ პირთა ამჟამინდელი საჭიროებები და ომის დროს სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების კუთხით არსებული გამოწვევები, საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე არსებული ადამიანის უფლებათა მძიმე მდგომარეობა და ის პრობლემები და ბარიერები, რასაც საქართველოში სხვადასხვა ჯგუფი აწყდება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციისას, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ეფექტური ადვოკატირების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, წლის განმავლობაში, აქტიურად თანამშრომლობდა ასევე საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, მათ შორის - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციასა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საერთაშორისო კოალიციასთან, შესაბამისი ინფორმაციისა და ანგარიშების მიწოდების, ერთობლივი საჯარო განცხადებების გავრცელებისა და ადვოკატირების სხვა გზების გამოყენების გზით. ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურებოდა ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგსა და სამუშაო შეხვედრაში, რომლებიც ორგანიზებული იყო საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ.

ნინო ტლაშაძე
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ადამიანის უფლებათა ცენტრს 2006 წელს შემოვუერთდი და ვფიქრობ, ამით ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მივიღე. იმ გუნდში მუშაობა, სადაც მათთან ერთად იზრდები და ვითარდები, აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს.

ახალგაზრდა და მყიფე დემოკრატიის მქონე ქვეყნებში უფლებადამცველები მუდმივად გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე ვდგავართ. არც 2019 წელი ყოფილა იოლი ქართველი უფლებადამცველებისთვის და ამ ორომტრიალში ადამიანის უფლებათა ცენტრიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მიმდინარე მოვლენების სწორად დოკუმენტირებისა და ადვოკატირების გზით.

იმისთვის, რომ აქტიურად იყო ჩართული პროცესებში, აუცილებელია საერთაშორისო პარტნიორებთან - უფლებადამცველ ორგანიზაციებთან და ასევე, დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. ერთი მხრივ, ჩვენს პარტნიორ ავტორიტეტულ უფლებადაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ვამზადებდით ერთობლივ განცხადებებს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი დარღვევების, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის და სხვადასხვა ნიშნით ჩადენილი დისკრიმინაციის ფაქტების გასაპროტესტებლად, მეორე მხრივ, აქტიურად ვმუშაობდით ფონდების მოძიებაზე, რადგან მზარდი გამოწვევებისა და პრობლემების ფონზე, ორგანიზაციას ნამდვილად სჭირდებოდა დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი უკვე 10 წელიწადზე მეტია, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის საშუალებით, წარმატებულად ეხმარება არა მარტო კონკრეტულ ბენეფიციარებს მათი დარღვეული უფლებების აღდგენაში, არამედ სტრატეგიული სამართალწარმოებისა და ადვოკატირების გზით, ცვლის: საკანონმდებლო ხარვეზებს, სამართალდამცავი სისტემის მანკიერ პრაქტიკასა და ახდენს სასამართლო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების იდენტიფიცირებასა და ადვოკატირებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით, უკვე წლებია, წარმატებით ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების პროექტს თბილისის სათავო ოფისში და კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონულ ოფისებში. 5 პროფესიონალი იურისტისგან შემდგარი გუნდი წლის განმავლობაში ათასობით ადამიანს უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას და ასეულობით მოქალაქის უფლებებს იცავს როგორც ადგილობრივ დონეზე საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე საერთაშორისო დონეზე - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში და გაეროს კომიტეტებში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ახალგაზრდა თაობის განათლება ადამიანის უფლებების სფეროში. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი თაობა დემოკრატიული ღირებულებებით გაიზარდოს და მოზარდები გახდნენ აქტიური მოქალაქეები. ამ მიზნის მისაღწევად, ორგანიზაცია სხვადასხვა დროს ახორციელებდა პროექტებს. 2019 წელს, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების მოზარდებისთვის გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის დაფინანსებით, ადამიანს უფლებათა ცენტრმა ტრენინგების ციკლი გამართა. ტრენინგების მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია სუფთა წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე (WaSH) ადამიანის უფლების შესახებ და ასევე - ამ უფლებების

დარღვევის შემთხვევაში, სწორად და მიზნობრივად გონივრული ადვოკატირების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგში მონაწილე მოზარდებმა თავადვე წამოიწყეს სხვადასხვა კამპანია და უკვე იქცნენ თავიანთ თემებში სამოქალაქო აქტივისტებად, დააინტერესეს მეგობრებიც და იბრძვიან დაბინძურებული სასმელი წყლის, გაუმართავი სადრენაჟო სისტემისა და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

წარმატებული სამართალწარმოებისა და ადვოკატირების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 2019 წელი ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ვაგრძელებთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას და ძველი და ახალი ინიციატივების განხორციელების გზით, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ყველა ადამიანის თანასწორობის რწმენით ბრძოლას.

უჩა ნანუაშვილი
პროექტის დირექტორი

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი უკვე არაერთი წელია, ცენტრის სტრატეგიული პარტნიორი და დონორია. კომიტეტი მრავალ მნიშნელოვან საკითხზე მუშაობდა და ხელს უწყობდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების განვითარებას რეგიონში.

2019 წელს კომიტეტის მხარდაჭერით ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებდა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგს, მდგომარეობის შესწავლასა და ადვოკატირებას.

წლის განმავლობაში გრძელდებოდა ბორდერიზაცია სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, რის შედეგად არაერთმა ადგილობრივმა მოსახლემ დაკარგა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა. რამდენიმე შემთხვევაში მოქალაქეებმა კუთვნილ მიწასთან ერთად დაკარგეს საკუთარი სახლიც, რომელიც ახალი ე.წ. „სასაზღვრე“ ნიშნების აღმართვის შემდეგ გამყოფი ხაზის მეორე მხარეს აღმოჩნდა.

ბორდერიზაციის შედეგად ირღვევა საკუთრების, გადაადგილების თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით.

2019 წლის სექტემბერში დაბა ახალგორისა და საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დამაკავშირებელი გადასასვლელის დაკეტვის შედეგად, ახალგორში რამდენიმეთვიანი ჰუმანიტარული კრიზისი შეიქმნა, რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

2019 წელს კიდევ ერთი გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა რუსეთის სამხედრო ბაზაზე, სადაც ქართველი ახალგაზრდა გარდაცვლილი იპოვეს საეჭვო გარემოებებში. ეს ფაქტი, ისევე როგორც წინა წლებში გამყოფ ხაზთან ან მიმდებარე ტერიტორიებზე მომხდარი მკვლელობის/გარდაცვალების ფაქტები, არ ყოფილა გამოძიებული და არც დამნაშავეები დასჯილან.

ნორვეგიის ჰელსინკი კომიტეტის მხარდაჭერით ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა სპეციალური ანგარიში - „მავთულხლართების ზონა - ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“.

ანგარიში ასახავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე მიმდინარე მასობრივ უფლებადარღვევებს, მათ შორის, თავისუფლების უკანონო შეზღუდვის, უკანონოდ დაკავებულ პირთა მოპყრობის, გადაადგილებისა და განათლების თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებს.

„რა ეფექტი აქვს სისხლის სამართლის საერთაშრისო სასამართლოს მიერ რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიებას“, - ამ სახელწოდებით ჩატარდა 2019 წ. 15 მაისს დისკუსია ნორვეგიის საერთაშორისო საქმეების ინსტიტუტში (NUPI), ამავე ორგანიზაციისა და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ორგანიზებით.

მოხსენებებით გამოვიდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის დირექტორი, უჩა ნანუაშვილი, Russian Justice Initiative-ის იურისტი ანასტასია ზახაროვა და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენელი, ოგე ბორჩგრევინკი. მათ ისაუბრეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმდინარე გამოძიებაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა ცენტრის მიერ გამოცემულ ახალ ანგარიშზე - „მავთულხლართების ზონა“.

დისკუსიაზე გამომსვლელები ცდილობდნენ, ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე: რამდენად ეფექტურია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მუშაობა კონფლიქტთან მიმართებაში, არსებობს თუ არა იმედი და მოლოდინი, რომ

რეგიონში დაუსჯელობის სინდრომი აღმოიფხვრას? რა გავლენა აქვს მიმდინარე გამოძიებას და რა შედეგებს შესაძლოა, ველოდოთ?

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მრგვალი მაგიდა სტრასბურგში

2019 წლის ივნისში ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ნინო ტლაშაძემ მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდის დისკუსიაში - „უფლებადამცველების მდგომარეობა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში“.

მრგვალი მაგიდა გაიმართა სტრასბურგში (საფრანგეთი) ევროსაბჭოს ახალგაზრდულ ცენტრში. მასში მონაწილეობა მიიღეს რეგიონის კონფლიქტური რეგიონების, მათ შორის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა.

ნინო ტლაშაძემ ისაუბრა უფლებადამცველების მდგომარეობაზე და უფლებადარღვევებზე ახალგორისა და გალის ოკუპირებულ რაიონებში.

კრემლის დაბრუნება - რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინაში

2019 წლის 24 ივნისს სტრასბურგში, ევროპის სასახლეში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საზაფხულო სესიის დროს, „საერთაშორისო პარტნიორობამ ადამიანის უფლებებისათვის“, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, გამართა ღონისძიება - „კრემლის

დაბრუნება საფრთხეს უქმნის ევროპის საბჭოს და ევროპის უსაფრთხოებას: ევროპული კონვენციით დაცული უფლებების ფართოდ გავრცელებული, სისტემური და განგრძობითი დარღვევები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინაში“.

ღონისძიებას უძღვებოდნენ ლიეტუვის დელეგაციის ხელმძღვანელი ეგიდიუს ვარეიკისი და შვედეთის დელეგაციის თავმჯდომარე ბორიანა აბერგი. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ყირიმელი, უკრაინელი და რუსი უფლებადამცველები, ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის დირექტორი, საქართველოს ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა გეგმავდა რუსეთის ფედერაციისთვის სანქციების მოხსნას, ევროსაბჭოს რეგიონში მოქმედმა უფლებადაცვითმა

ორგანიზაციებმა შეახსენეს დელეგატებს ის მძიმე უფლებადარღვევის ფაქტები, რაც უკავშირდება რუსეთის აგრესიულ ქმედებებს, რომელსაც, როგორც ჩანს, ახალისებს და მხარს უჭერს მსოფლიოში მოქმედი ერთ-ერთი ძირითადი უფლებადაცვითი ინსტიტუტი.

შეხვედრის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი სანქციები არის ძირითადი ინსტრუმენტი, რათა მოხდეს უკრაინაში რუსეთის უკანონო ქმედებების დელეგიტიმაცია და შემდგომი კონფლიქტების პრევენცია.

შეხვედრაზე უჩა ნანუაშვილმა ისაუბრა 2008 წლის ომის მსხვერპლთა მდგომარეობაზე, ომის შედეგებსა და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე. ასევე, გაიმართა არაერთი შეხვედრა ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) კონგრესი

21-25 ოქტომბერს, ტაივანში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) მე-40 კონგრესი გაიმართა. ფორუმზე ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა უჩა ნანუაშვილმა ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიებასა და იმ გამოწვევებზე, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ამჟამად აწყდება. ფორუმის ფარგლებში ასევე გაიმართა არაერთი მნიშნელოვანი შეხვედრა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

FIDH დაარსდა 1922 წელს და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დამცველ პირველ საერთაშორისო ორგანიზაციას. ფედერაცია აერთიანებს 184 წევრ ორგანიზაციას მსოფლიოს 112 ქვეყანაში. ფედერაცია მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს იძიებდა და დოკუმენტირებას ახდენს. ადამიანის უფლებათა ცენტრი ფედერაციის წევრია 2004 წლიდან.

შავი ზღვის ფორუმი

ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურ მონაწილეობას იღებს შავი ზღვის რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების ყოველწლიურ ფორუმში. ფორუმის მიზანია რეგიონის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სხვადასხვა თემატურ სამუშაო ჯგუფებში საკუთარი გამოცდილების გაზიარება, სამომავლო ერთობლივი პროექტების და პროგრამების დაგეგმვა/განხორციელება. როგორც წესი, ერთი სესია ეთმობა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში

მოქმედი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრას და მათთვის კითხვების დასმას.

2019 წლის 23-25 ოქტომბერს ფორუმი გაიმართა თურქეთში, ქალაქ სტამბოლში. შეხვედრაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ნინო ტლაშაძე იყო ერთ-ერთი ინიციატორი, შექმნილიყო ადამიანის უფლებათა სამუშაო ჯგუფი. მან მოამზადა სამუშაო ჯგუფის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ამოცანები. შემუშავებული დოკუმენტის პრეზენტაცია გაიმართა 24 ოქტომბერს ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელთან, ანა აბაშიძესთან ერთად.

25 ოქტომბერს, დონორებთან კომუნიკაციის სამუშაო პანელზე, ნინო ტლაშაძე შეხვდა და ესაუბრა ევროკავშირის, EED-ის, Black Sea Trust-ისა და NED-ის წარმომადგენლებს.

ICC-ს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეა

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) წევრ სახელმწიფოთა ყოველწლიურ ასამბლეაზე.

2019 წლის 2-7 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) სახელით, ამ ფორუმში მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ნინო ტლაშაძემ, რომელიც დაესწრო როგორც ასამბლეის სხდომებს, ასევე - პარალელურ სესიებს.

მან, ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღო დაზარალებულთა ნდობის ფონდის მიერ გამართულ დისკუსიაში და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს კოალიციის მიერ გამართულ სესიაში, სადაც გაიმართა ქართული კოალიციის მიერ მომზადებული ანგარიშის პრეზენტაცია.

აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მონაწილეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-11 ყოველწლიური ასამბლეის მუშაობაში ბრიუსელში, 4-6 დეკემბერს. ფორუმი მოიცავდა პანელურ დისკუსიებს და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს, ქსელურ შეხვედრებს და პრეზენტაციებს.

ასევე გაიმართა აქცია ევროპარლამენტის წინ ქართველი ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერად, რომელიც ოკუპირებული ცხინვალის იზოლატორში იმყოფებოდა ე.წ. „საზღვრის“ უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. ქართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ევროპული ინსტიტუტებისგან უკანონო პატიმრის განთავისუფლებაის პროცესში აქტიური ჩართვა მოითხოვეს.

OSCE/ODIHR-ის მიერ ორგანიზებული ექსპერტთა ვორქშოფი

2019 წლის 8-9 ივლისს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ორგანიზებით ვენაში გაიმართა ექსპერტთა ვორქშოფი შეკრებებისა და მანიფესტაციების თემაზე, რომელსაც ესწრებოდა სამოქალაქო საზოგადოების 25 წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეყნიდან.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ცენტრის თანადირექტორმა, ნინო ცაგარეიშვილმა. მან შეხვედრაზე ისაუბრა იმ პრობლემებსა და ბარიერებზე, რასაც საქართველოში სხვადასხვა ჯგუფი აწყდება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციისას, მათ შორის -

2019 წლის 20 ივნისს აქციის დაშლისას დაფიქსირებულ დარღვევებზე და შემდგომში განვითარებულ მოვლენებზე. ხაზი გაესვა, ასევე, იმ პრობლემებსა და შეზღუდვებს, რაც ლგბტ თემის წარმომადგენლებს ექმნებათ საქართველოში აღნიშნული უფლების რეალიზაციისას.

OSCE/ODIHR-ის ტრენინგი არჩევნების გრძელვადიანი დამკვირვებლებისათვის

2019 წლის 2-6 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრის თანადირექტორმა, ნინო ცაგარეიშვილმა მონაწილეობა მიიღო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში ბელგრადში, სერბეთში. ტრენინგი მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის - ეუთოს მონიტორინგის მისიის პრინციპებსა და სტანდარტებს და სხვადასხვა გამოწვევებს, რაც დაკავშირებულია მისიის ორგანიზებასთან, დამკვირვებლების როლთან საარჩევნო პროცესში, გუნდური მუშაობის პრინციპებთან, ეთიკის პრინციპებთან, მედიასთან ურთიერთობასთან და ანგარიშგებასთან. ტრენინგის განმავლობაში, განხილული იყო სხვადასხვა ქეისები და მონიტორინგის მაგალითები.

ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილებაში ეუთოს მონაწილე ქვეყნების ვალდებულების შემფასებელი შეხვედრა

2019 წლის სექტემბერში, ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილებაში ეუთოს მონაწილე ქვეყნების ვალდებულების შემფასებელ ყოველწლიურ შეხვედრაზე (HDIM), ადამიანის უფლებათა ცენტრის თანადირექტორი, ნინო ცაგარეიშვილი წარსდგა მოხსენებით საქართველოში შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების რეალიზაციის პრობლემების თაობაზე. სხვა საკითხებთან ერთად, მან ყურადღება გაამახვილა 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციის დაშლის დროს სახელმწიფოს მხრიდან პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის გამოყენებაზე. მან ასევე ისაუბრა იმ დაბრკოლებებსა და სირთულეებზე, რასაც უმცირესობები, ლგბტქი და სხვა ჯგუფები აწყდებიან საქართველოში შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების რეალიზაციისას.

ნესტან ლონდარიძე,
იურიდიული სამსახურის უფროსი

ადამიანის უფლებათა ცენტრის გუნდს 2007 წელს შევუერთდი. 2019 წლიდან ორგანიზაციაში იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიცია მიკავია. ჩემი ძირითადი მოვალეობაა პირადი და სატელეფონო კონსულტაციები, საადვოკატო მომსახურება, იურიდიული ჯგუფის მუშაობის პრიორიტეტების განსაზღვრა და კოორდინაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ხედვით, ყველას აქვს უფლება, თავისუფლად და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლით უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ამ უფლებებისა და კანონის უზენაესობის რეალიზაცია და დაცვა წარმოადგენს საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენების წინაპირობას.

ამ მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია, სხვა საქმიანობებთან ერთად, უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს ბენეფიციარებს, რათა დაცული იყოს მათი უფლებები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა რეზონანსულ საქმეში, როგორიცაა: თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნების საქმე, 2018 წლის 30 სექტემბერს სასტიკად მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის საქმე, სამოქალაქო აქტივისტის ანა სუბელიანის საქმე, 20 ივნისის აქციისას დაზარალებული ჟურნალისტების საქმეები და სხვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ სამუშაო მიმართულებას წარმოადგენს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეები. ცენტრი აქტიურად აწარმოებდა პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებს. განსაკუთრებულ პრობლემად შეიძლება, დასახელდეს დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართალწარმოების პროცესში და შემდგომ ამ სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

კონსტიტუცია ფუნდამენტურ უფლებად აღიარებს და იცავს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, მაგრამ პრაქტიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ ამ უფლებებს ხშირად ემუქრება არამართლზომიერი და უკანონო ჩარევის საფრთხე. ეს ხშირად კეთდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე დაყრდნობით. დღესაც, გასული წლების მსგავსად, აქტიურად გამოიყენება მშვიდობიანი შეკრების წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები.

HRC თბილისის ოფისის 2019 წლის იურიდიული დახმარების სტატისტიკა	
უფასო იურიდიული კონსულტაცია	2213
წლის განმავლობაში აღებული საქმეები	70 (სასამართლო, პროკურატურა, ადმინისტრაციული ორგანოები)
წარმატებით დასრულებული საქმეები	40
საპატიმროებში ვიზიტები	48

ალექსი მერებაშვილი
შიდა ქართლის ოფისის კოორდინატორი

ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისში იურისტი, ჟურნალისტი და იურისტის თანაშემწე ვმუშაობთ.

ძირითადი პრობლემები, რაზეც მოქალაქეები მოგვმართავენ არის: სოციალური ხასიათის დავები, საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმები, პოლიციელთა მხრიდან უკანონო ქმედებები, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები, დევნილთა და ომის შედეგად დაზარალებულ პირთა პრობლემები, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, საოჯახო დავები (განქორწინება და ალიმენტი), ოჯახში ძალადობის საკითხები, შრომითი დავები საჯარო დაწესებულებებთან და საკრედიტო და კერძო გამსესხებლების მიმართ არსებული დავები. ვცდილობთ, ყველას დავეხმაროთ, მაგრამ შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, ყველა საქმეში ვერ ვერთვებით. თუმცა, კონსულტაციას ყველა ბენეფიციარს ვუწევთ.

წლის განმავლობაში რთული აღმოჩნდა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ამის ნათელი დასტურია კახა წაველიძის საქმე, სადაც იკვეთება სამართალდამცავი უწყებების ინტერესი, რომ ამჟამად მსჯავრდებული მიცემული იქნეს პასუხისგებაში სათანადო მტკიცებულებების (მხოლოდ პოლიციელის ჩვენების საფუძველზე) გარეშე. ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის საქმეზე ვერც

პროკურატურამ და ვერც გენერალურმა ინსპექციამ ვერ დაადგინა პოლიციელთა მხრიდან ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტი.

წარმატებული საქმეებიდან აღსანიშნავია ილია ბერუაშვილის საქმე, რომელსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უარს უცხადებდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ ნაკვეთი ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება. ასევე, აღსანიშნავია გოჩა ხუბულურის საქმეც, რომელსაც ოკუპირებულ მიწის ნაკვეთზე ყადაღა ჰქონდა დადებული, რადგან ერიცხებოდა ქონების გადასახადი. სახელმწიფოს ორ საქმეზე ორი სრულიად განსხვავებული პოზიცია ეკავა და ორივე პოზიციით არღვევდა ადამიანის უფლებას.

ასევე გამოსაყოფია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავისა და ქარელის რაიონის სოფელ რუისის საქმეები. პირველ შემთხვევაში გამოვავლინეთ, რომ პასუხისმგებელი უწყება გვაწვდიდა არასწორ ინფორმაციას მოსახლეობისათვის მიწოდებული წყლის ხარისხის შესახებ, მეორე შემთხვევაში კი, სასამართლოს მეშვეობით შევაჩერეთ სოფელ რუისის სპორტული მოედნის უკანონოდ პრივატიზება.

წარმატებული საქმეებისა თუ სხვა მოქმედი დავების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონში არსებობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს არაერთი დადებითი შეფასება. მაგალითად, დადებითად შეფასდა ჩვენი ოფისის საქმიანობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ.

ხშირად, მოქალაქეებს არა აქვთ ეკონომიკური შესაძლებლობა, იდავონ დარღვეული უფლებების აღდგენისათვის. განსაკუთრებით ამის საჭიროება თავს იჩენს ისეთ საქმეებში, სადაც

მეორე მხარეს არის სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტები ან ძლიერი ფინანსური თუ კერძო სტრუქტურები. სწორედ ამიტომ აუცილებელია რეგიონში იყოს მათი საიმედო დასაყრდენი - ადამიანის უფლებათა ცენტრი.

შიდა ქართლის ოფისი	
უფასო იურიდიული კონსულტაცია	1693
წლის განმავლობაში აღებული ახალი საქმეები	24
წარმატებით დასრულებული საქმეები	18
საპატიმროებში ვიზიტები	5

თამარ მოდებაძე
კახეთის ოფისის კოორდინატორი

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისს მოქალაქეები თითქმის ყველა კატეგორიის საქმეებზე მომართავენ: ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო და სხვა საქმეებზე, რაზეც იღებენ სრულფასოვან და ამომწურავ კონსულტაციას. თუმცა, რესურსის სიმცირის გამო, ორგანიზაციის ადგილობრივი ოფისის იურისტი მხოლოდ იმ საქმეებზე ახდენს სასამართლო წარმომადგენლობას, სადაც სახელმწიფო ორგანოები არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს. ასევე, ორგანიზაცია იცავს ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლების, გენდერული და ეთნიკური ან/და რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების დაზარალებულებს.

ორგანიზაციის გურჯაანის ოფისის იურისტი, როგორც ადგილობრივი გენდერული საბჭოს წევრი, ხშირად ატარებს შეხვედრებს რეგიონის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის - ოჯახში ძალადობის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და ბულინგის თემაზე.

მნიშვნელოვანი პრობლემაა პოლიციელეთა მიერ უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილი დანაშაულები. ორგანიზაცია იცავს საჯარო რეესტრის ან ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან უფლებადარღვეულ მოქალაქეებს. როგორც წესი, მსგავსი საქმეების განხილვას დიდი დრო სჭირდება, რაც ხშირად დაზარალებულთა უკმაყოფილებას, იმედგაცრუებას და ბრძოლის მოტივაციის დაკარგვას იწვევს.

ორგანიზაცია იცავს საჯარო სამსახურებიდან, მათ შორის - მუნიციპალიტეტის მერიებიდან, უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლების უფლებებს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებში.

უფასო იურიდიული დახმარების პროექტის გარდა, გურჯაანის ოფისი ახორციელებს მეორე პროექტს ევროკავშირის მხარდაჭერით და CENN-თან პარტნიორობით. პროექტის მიზანია წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობების კვლევა და მასთან დაკავშირებული უფლებადარღვევის ფაქტების ადვოკატირება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისის ადვოკატირების შედეგად, 2019 წელს ორ სკოლაში, ერთ საბავშვო ბაღსა და ერთ ამბულატორიაში ახალი საპირფარეშოები და სველი წერტილები მოეწყო. ხოლო ერთ სოფელში აშენდა ახალი ამბულატორია.

ადამიანის უფლებათა ცენტრი გურჯაანის მუნიციპალიტეტში ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს.

კახეთის ოფისი	
უფასო იურიდიული კონსულტაცია	360
წლის განმავლობაში აღებული ახალი საქმეები	27
წარმატებით დასრულებული საქმეები	8

ეკა ქობესაშვილი,
იურისტი, NPM-ის ექსპერტი

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები წლების მანძილზე იცავენ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთა სამართლებრივ ინტერესებს სხვადასხვა უწყებაში. მსჯავრდებულები იურისტებს ტელეფონის ან საპატიმროდან გამოგზავნილი წერილების საშუალებით უკავშირდებიან. საჭიროებების გათვალისწინებით, ორგანიზაციის ადვოკატები პატიმრებს პენიტენციურ დაწესებულებებში ხვდებიან. ორგანიზაციის იურისტების სამართლებრივი დახმარებით, ბევრმა პატიმარმა მიიღო სათანადო სამედიცინო მომსახურება და გაუმჯობესდა მათი უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში.

წლების განმავლობაში ორგანიზაციის წარმომადგენელებმა მრავალი პატიმარი მოინახულეს პენიტენციურ დაწესებულებებში. პრობლემათა ანალიზი ცხადყოფს, რომ კვლავ დიდ გამოწვევად რჩება საპატიმრო დაწესებულებებში პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა და მათთვის სათანადო სამედიცინო მომსახურეობის გაწევა.

ადამიანის უფლებათა ცენტრს ასევე აქვს პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის გამოცდილება. ორგანიზაცის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, ადგილზე იკვლევენ და აფასებენ საპატიმრო ადგილებში არსებულ მდგომარეობას.

2019 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა პარტნიორ ორგანიზაციებთან („ციხის საერთაშორისო რეფორმა“ და „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“) ერთად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, განახორციელა მონიტორინგი №2 (ქუთაისი), №3 (ბათუმი), №16(რუსთავი), №17 (რუსთავი) პენიტენციურ დაწესებულებებში, შემდეგ საკითხებზე: მსჯავრდებულთა რისკების შეფასება და კლასიფიკაცია, დისციპლინური პასუხისმგებლობა, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და პენიტენციური დაწესებულების პერსონალის სამუშაო პირობები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს მსჯავრდებულთა უფლებების დაცვას და ამ ეტაპზე ახორციელებს პროექტს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე. პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მონიტორინგი.

დიმიტრი ნოზაძე
იურისტი

ადამიანის უფლებათა ცენტრს დახმარების თხოვნით ხშირად მომართავენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ისინი გვთხოვენ, დავეხმაროთ სარჩელისა თუ საჩივრის მომზადებაში, დავიცვათ მათი ინტერესები სასამართლოებში. ასევე, ვეხმარებით შრომითი და სასაწავლო ბინადრობის მიღებაში. ხშირად მოგვმართავენ სხვა ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც არ შემოუშვეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, ან - მათი ოჯახის წევრები არ შემოუშვეს. ხშირია მომართვა თავშესაფრისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის მიღების გამოც. ძირითადად, მოგვმართავენ: ეგვიპტის, ირანის, ერაყის, თურქეთის, ინდოეთის, პაკისტანის, განას, ნიგერიის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს იუსტიციის სახლს მიმართავენ შრომითი ან სასწავლო ბინადრობის მოთხოვნით. იუსტიციის სახლი, უმეტეს შემთხვევაში, უარს ამბობს შრომითი თუ სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. უარის მიზეზად მითითებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი და საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მე-18 მუხლი, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული პირები წარმოადგენენ საფრთხეს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. თუმცა, კონკრეტულად რა სახის საფრთხეებზეა საუბარი, უცნობია, რადგან მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს ზემოხსენებული წერილის შინაარსს. წერილის გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ მოსამართლეს და სახალხო დამცველს.

მოსამართლე ხურავს სხდომას და ეცნობა წერილს. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

ერთ-ერთი საქმე, რომელიც ამჟამად ადამიანის უფლებათა ცენტრს აქვს, არის ინგლისური ენის პედაგოგის საქმე. ნიგერიის მოქალაქე, ინგლისური ენის პედაგოგი, ოჯახთან ერთად 7 წელია, ცხოვრობს საქართველოში. 2018 წელს მან განმეორებით მიმართა იუსტიციის სახლს შრომითი ბინადრობის ნებართვის თხოვნით, მაგრამ უარი მიიღო. იუსტიციის სახლის უარი საქალაქო სასამართლოში გავასაჩივრეთ, ხოლო შემდგომ - თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც 2 წელია, არ ჩანიშნულა პროცესი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს აქვს ვიზა და შეუძლია, ლეგალურად შემოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მესაზღვრე უარს ეუბნება ქვეყანაში შემოშვებაზე. უარის მიზეზად უთითებს საქართველოს კანონს „უცხოელთა სამრთლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მე-11 მუხლს, რომელშიც საუბარია „კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაზე“, მაგრამ რომელ ან რა შემთხვევაზეა საუბარი, უცნობია. შსს არასოდეს ასაბუთებს უარს, რომელიც თავიდან საჩივრდება შსს-ში, ხოლო შემდგომ - საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხშირად მიმართავენ თავშესაფრის ან დევნილის სტატუსის მოთხოვნით. სამინისტრო უმეტესად უარს ეუბნება როგორც თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მინიჭებაზე, ასევე ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. სამინისტროს უარი საჩივრდება საქალაქო სასამართლოში. თავშესაფრის მაძიებლის ან დევნილის სტატუსის მოთხოვნის შემთხვევაში, შსს-ს მიგრაციის სამსახურის უარი დაუსაბუთებელი და სტანდარტულია.

სამინისტრო ინდივიდუალურად არ სწავლობს საქმეებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც საქალაქო და სააპელაციო სასამართლო ბათილად ცნობს შსს-ს უარს და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სამინისტროს სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს დარღვევებსა და მტკიცებულებებზე, რაზეც სამინისტროს მხრიდან არ გამახვილდა ყურადღება. სამწუხაროდ, სასამართლოს გადაწვეტილების მიუხედავად, შსს კვლავ სტანდარტულად ეუბნება უარს თავშესაფრის ან დევნილის სტატუსის მინიჭებაზე, რის გამოც უცხო ქვეყნის მოქალაქეს უწევს განმეორებით მიმართოს სასამართლოს.

ლაზარე ჯიბლაძე,
იურისტი-ანალიტიკოსი

ადამიანის უფლებათა ცენტრში ჩემი ამჟამინდელი პოზიცია აერთიანებს როგორც ადამიანის უფლებათა იურისტის, ისე ანალიტიკოსისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის საპარლამენტო მდივნის პოზიციებს.

2019 წლიდან სამართლებრივად მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებზე დავიწყეთ ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება. პირველი ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე სამართლებრივ პროცესზე. დოკუმენტში განხილულია საქმის მიმდინარეობისა და მასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ხარვეზების ყველა ძირითადი ასპექტი.

შემდეგი ანალიტიკური დოკუმენტი ეხება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. ანგარიშში ასახულია როგორც აქციის დაშლამდე, ისე მას შემდეგ განვითარებული მოვლენები და სამართლებრივად შეფასებულია ხელისუფლებისა და სხვა აქტორების ქმედებები მთელი ამ დროის განმავლობაში. ანგარიშში, სრული სურათის აღქმის მიზნით, შევაფასეთ მოვლენების ქრონოლოგიური განვითარება და ყურადღება გავამახვილეთ მეტ-ნაკლებად ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ ასპექტზე. ანგარიში ასახავს ორგანიზაციის პოზიციებს და რეკომენდაციებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშიდან 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი ანალიზი ციტირებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ, რომელიც 2020 წლის 11 მარტს გამოქვეყნდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ანალიტიკური დოკუმენტით გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის სკანდალურ შეწყალების აქტებს, რომლებმაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. დოკუმენტი სამართლებრივად აფასებს ამ საკითხის რეგულირებას როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის ჭრილში; გასცემს გარკვეული ტიპის რეკომენდაციებს, პრობლემის გადაჭრისა და პრევენციისთვის.

ცენტრი იცავს ყოფილ გენერალურ აუდიტორს, ლაშა თორდიას, რომელსაც დაზარალებულის სტატუსი აქვს. საქმე ეხება მასზე თავდასხმის ფაქტს, რაზეც ბრალი წაყენებული აქვს ყოფილ მთავარ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილეს, მიხეილ ჩოხელს. ამ გახმაურებული საქმის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპია განხილული და იდენტიფიცირებულია შესაძლო დარღვევები, რომელსაც ორგანიზაცია შესაბამის სამართლებრივ შეფასებას აძლევს.

აქტიურად ვეხმაურებოდით ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, განცხადებებისა და საჯარო მიმართვების სახით. გავაძლიერეთ საპარლამენტო საქმიანობა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირებისთვის, რომლებიც შრომის უსაფრთხოებას, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებს, სასამართლო რეფორმასა და ქვეყნისთვის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხებოდა.

აქტიურად ვთანამშრომლობთ კოალიციასთან „თანასწორობისთვის“ და მის წევრ ორგანიზაციებთან. ვამზადებთ ჩრდილოვან ანგარიშებს, რომლებიც გაეროს სახელშეკრულებო

ორგანოებს მიეწოდებათ. მათ შორის არის ანგარიში CEDAW-ში წარსადგენად. ვმუშაობთ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ანგარიშსა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

ამასთანავე, პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაცია - კავშირ „საფართან“ ერთად, CEDAW-ში, არჩევითი პროტოკოლის გამოყენებით, განვაგრძობთ ე. წ. ღირსების სახელით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით კომუნიკაციას.

2019 წლის ბოლოს გამოვაქვეყნეთ ანგარიში სახელწოდებით - „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2019“, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, დეტალურად მიმოიხილავს 2019 წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებულ ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ თუ პოლიტიკურ მოვლენას.

ლანა გიორგიძე,
Humanrights.ge-ს რედაქტორი,
PR-მენეჯერი

Humanrights.ge არის პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ, სადაც 2019 წლის განმავლობაში, 250 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, აქედან 125 სტატია, 37 ნიუსი, 88 მიმართვა/პრესრელიზი. ჯამში 2019 წელს Humanrights.ge-ს 75 500 მნახველი ჰყავდა. ყველაზე მეტი ნახვა აქვს ცენტრის ანალიტიკოსის მიერ მომზადებულ ბლოგს „გორაშვილი vs ნაჭყებია“.

Humanrights.ge საუკეთესო საშუალებაა ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების განცხადებების, ანგარიშებისა თუ ზოგადად, საქართველოში ადამიანის უფლებადარღვევათა ფაქტების აღრიცხვისა და დოკუმენტირებისთვის.
ჩვენი მთავარი ღირებულება და ათვლის წერტილი ადამიანია!

გარდა იმისა, რომ ადამიანის უფლებებზე ვწერ და ვარედაქტირებ სტატიებს, მუდმივად ჩართული ვარ ორგანიზაციის საქმიანობაში. ჩვენ ერთად, გუნდური პრინციპით, განვიხილავთ პრობლემის მოგვარების გზებს, სწორედ ამის გათვალისწინებით, რამდენიმე აქცია გავმართეთ სამართლიანობის მოთხოვნით, სააპელაციო სასამართლოსთან, თბილისის ზღვაზე თუ სხვა ობიექტებზე, სადაც ადამიანებს სხვადასხვა საფრთხე ემუქრება ან მათი უფლებები ილახება. გარდა ჩვენ მიერ დაგეგმილი აქციებისა, მონაწილეობა მივიღეთ კოალიციურად დაგეგმილ აქციებში.

2019 წელს გავმართეთ 10 პრესკონფერენცია სხვადასხვა რეზონანსულ საქმეზე. გარდა პრესკონფერენციებისა, მოვაწყვეთ სამართალდამცავთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე ფილმის ჩვენება, საზოგადოებას წარვუდგინეთ ორგანიზაციის ანგარიში გასული წლის საქმიანობის შესახებ, გავმართეთ მრგვალი მაგიდა და რამდენიმე შეხვედრა პარტნიორ ორგანიზაციებთან, დონორებთან თუ ბენეფიციარებთან. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2019 წელს გამოსცა 11 ანგარიში, რომლებშიც ასახულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სხვადასხვა პრობლემატური საკითხები, დარღვევები და რეზონანსული საქმეების საინტერესო ასპექტები.

ჩვენ მუდმივად მზად ვართ, ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას ჩვენს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯის შესახებ. გარდა იმისა, რომ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ვავრცელებთ ჩვენს მიმართვებსა თუ პრესრელიზებს, ასევე, ყოველდღიურად, ვაახლებთ ჩვენს ფეისბუკის და ტვიტერის გვერდებს.

მიუხედავად ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემებისა, ციფრები ვერ გადმოსცემენ სათქმელს ზუსტად, რადგან 23 წლის ისტორიის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არც თუ ისე დიდი ადამიანური თუ ფინანსური რესურსებით, ცდილობს, გააუმჯობესოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და იყოს ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე.

კამპანია „იცურე მშვიდად“

ადამიანის უფლებათა ცენტრის, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN), ანა დოლიძისა და პროგრესის ცენტრის ინიციატივით, 2018 წლიდან მიმდინარეობს კამპანია „იცურე მშვიდად“. კამპანია აერთიანებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სამოქალაქო აქტივისტებს და მიმართულია საქართველოში წყლის ობიექტებზე მოქალაქეთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ. კამპანიის მიზანია ხელისუფლების პასუხისმგებლობის გაზრდა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ზაფხულის სეზონზე საქართველოში რამდენიმე ათეული ადამიანი იღუპება ზღვაში, ხელოვნურ წყალსაცავებში, ტბებსა და მდინარეებში. პრობლემას წარმოადგენს წყლის ობიექტებზე

მოწყობილი კუსტარული რეკრეაციული ზონები, სადაც არ არის უზრუნველყოფილი მაშველების დახმარება და დაუცველია მოქალაქეთა უსაფრთხოება. განსაკუთრებული საფრთხის შემცველია ადგილები, სადაც ბანაობა აკრძალულია, მაგრამ სახელმწიფოს და კერძო კომპანიებს ტერიტორიები არა აქვთ დაცული კაპიტალური ბარიერებით და ხშირად ამ ტერიტორიებზე არც გამაფრთხილებელი აბრებია გაკრული.

კამპანიის ინიციატორებმა რამდენიმე გამაფრთხილებელი, საინფორმაციო და საპროტესტო აქცია ჩაატარეს თბილისში და სხვა ქალაქებში. ასევე, შეხვდნენ ქალაქების ხელმძღვანელებს და საჯარო მოხელეებს, სკოლის მოსწავლეებს. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნულ პლატფორმასთან ერთად განხორციელდა ადვოკატირება პარლამენტსა და მთავრობაში კანონდებლობის დროულად შეცვლის მიზნით. მომზადდა პრობლემების ამსახველი ანგარიში და პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისი რეკომენდაციებით.

კამპანია „იცურე მშვიდად“ მოუწოდებს ხელისუფლებას, დროულად გადადგას კონკრეტული ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და წყლის ობიექტებზე მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით.

ჩვენი გუნდი

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში.

ხედვა

ადამიანის უფლებათა ცენტრს სჯერა, რომ ყველას აქვს უფლება, თავისუფლად და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიერ უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ჩვენ ვთვლით, რომ ამ უფლებებისა და კანონის უზენაესობის რეალიზაცია და დაცვა წარმოადგენს საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენების წინაპირობას.

მიზნები

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

პრიორიტეტული სფეროები

კანონის უზენაესობის გაძლიერება

- საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობით და მათი განხორციელების მონიტორინგით;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით ადამიანის უფლებებისა და მათი რეალიზაციისათივს ხელმისაწვდომი იურიდიული მექანიზმების შესახებ;
- უფასო იურიდიული დახმარებით კერძო პირებისა და ჯგუფებისათვის, რათა დაცული იყოს მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- ადამიანის უფლებების დარღვევების მონიტორინგით, დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით.

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა

- დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობით;
- გამოხატვის თავისუფლებისათვის შესაბამისი გარემოს შექნის ხელშეწყობით;
- ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების ორგანიზაციული განვითარებით;
- ახალი მედიის ხელშეწყობითა და პოპულარიზაციით.

თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა

- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლით;
- უმცირესობების უფლებების დაცვით;
- გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობით.

გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების ხელშეწყობა

- შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით;
- ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით;
- რესტიტუციის, რეპარაციის ადვოკატირებით;
- ნდობის აღდგენა შერიგებისა და მშვიდობის აღდგენით;

დემოკრატიული პროცესების გაძლიერება

- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება ორგანიზაციული განვითარებისა და ქსელური საქმიანობების საშუალებებით;
- სოციალური ჯგუფების სამოქალაქო საქმიანობებში ჩართვის ხელშეწყობით;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, კარგი მმართველობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობით.

საქმიანობები

- საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მონიტორინგი და დოკუმენტირება;
- საქართველოში ადამიანის უფლებების სიტუაციის შესახებ ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოს, გაეროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ანგარიშების რეგულარულად მიწოდება;
- საკანონმდებლო და პოლიტიკის რეფორმების ლობირება და ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან;
- ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებზე სასამართლო დავების წარმოება იურიდული დახმარების ცენტრის უფასო მომსახურების გზით.
- საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყოველდღიურად განახლებადი ორენოვანი ინტერნეტგამოცემის www.humanrights.ge-სა და ვიდეოპორტალის - www.hridc.tv-ის საშუალებით.
- ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების ქსელური საქმიანობის საშუალებით.

უფლებადამცველთა სამხრეთ კავკასიური ქსელი

უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი აერთიანებს 30 უფლებადამცველ ორგანიზაციას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ქსელის მიზანია, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის უსაფრთხო და ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას და სამოქალაქო საზოგადოების როლის ამაღლებას რეგიონში და საერთაშორისო დონეზე. ქსელი იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და ფინანსურ დახმარებას სთავაზობს დევნის ობიექტად ქცეულ ან საშიშროების ქვეშ მყოფ უფლებადამცველებს. ქსელი ახორციელებს სამხრეთკავკასიის ქვეყნებში შექმნილი პოლიტიკური, სამართლებრივი და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის მონიტორინგს, რათა დაადგინოს თუ როგორ ახდენს ეს გარემო გავლენას უფლებადამცველებზე და არასამთავრობო ორგანიზაციებზე; ასევე ლობირებას უწევს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე ამ გარემოს გაუმჯობესებას.

კამპანია „ბოდიში“ - ბოდიში ტყვიების ნაცვლად!

კამპანია „ბოდიში“ დაიწყო 2007 წლის მარტში.

ბოდიშის თქმა არ არის ადვილი, ხშირად - არც მისი მიღება.

კამპანია „ბოდიშით“ ჩვენ ვცდილობთ, შეიცვალოს ურთიერთობის ის ფორმები, რომელიც ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. კამპანია „ბოდიში“ თავისი არსით აპოლიტიკური, ომის საწინააღმდეგო მოძრაობაა, რადგან მიგვაჩნია, რომ

მშვიდობიან დიალოგს ალტერნატივა არა აქვს.
„ბოდიშის“ მთავარი მიზანი ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ნდობის აღდგენა და საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევაა. ჩვენ გვინდა, ყველა დავაფიქროთ ომის საშინელებასა და იმ შეცდომებზე, რომელიც დავუშვით.
შექმენი მომვალი დღეს! www.apsni.org

ადამიანის უფლებათა სახლი

2009 წლის ოქტომბერში თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი გაწევრიანდა ადამიანის უფლებათა სახლების ქსელში. მსგავსი გლობალური ქსელის წევრობა საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების ადვოკატირებასა და ლობირებას უფრო მეტ გავლენას მიანიჭებს; ასევე მოხდება სხვა ქვეყნის წევრი არასამთავრობოების ცოდნის, უნარისა და გამოცდილების გაზიარება.
თბილისის სახლს თავის წვლილი შეაქვს საქართველოში ადამიანის უფლებათა პატივისცემის გაზრდაში, ადამიანის უფლებადამცველების საქმიანობის ხელშეწყობაში; ის არის საქართველოსა და რეგიონში მომუშავე უფლებადამცველი ორგანიზაციების მოკავშირე და ხელშემწყობი.
www.humanrightshouse.org/georgia

კოალიცია ნდობისთვის

2015 წლის ივნისში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ნორვეგიის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დააარსეს „კოალიცია ნდობისათვის“. კოალიცია შეიქმნა სამწლიანი პროექტის შედეგად, რომელსაც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი ახორციელებდა კოალიციის პოტენციურ წევრებთან ერთად. მისი მიზანი გახლდათ, შექმნილიყო „კოალიცია ნდობისთვის“. 2015 წლის სექტემბერში კოალიცია დარეგისტრირდა ნორვეგიაში, ოსლოში, როგორც საერთაშორისო ასოციაცია. მას აქვს რეგიონალური მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და პარტნიორობას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს კოალიციია

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს კოალიცია 2003 წელს შეიქმნა და მისი მიზანია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება და გენოციდის, აგრესიის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობის დამკვიდრებისა და ამგვარ დანაშაულთა მსხვერპლთათვის სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კოალიციის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT), „საერთაშორისო სამართლიანობა“ და „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“. კოალიციის წევრები ახორციელებენ პროექტს - „სამოქალაქო სექტორის ჩართულობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს სიტუაციის

გამოძიებაში“. 2010 წლიდან საქართველოს კოალიცია არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საერთაშორისო კოალიციის წევრი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) - www.fidh.org ;
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS -წამება) - www.omct.org ;
- ადამიანის უფლებათა სახლების ქსელი - www.humanrighshouse.org ;
- კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის (CICC) - www.coalitionfortheicc.org ;
- ადამიანის უფლებები საზღვრებს გარეშე - www.hrwf.net ;
- მშვიდობის საერთაშორისო ბიურო (IPB) - www.ipb.org ;
- UNITED for Intercultural Action - ევროპული ქსელი ნაციონალიზმის, რასიზმის, ფაშიზმის წინააღმდეგ და მიგრანტებისა და ლტოლვილების მხარდასაჭერად - www.unitedagainstracism.org
- ბავშვთა უფლებების საინფორმაციო ქსელი (CRIN) - www.crin.org

დონორები

- „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED)
- ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)
- ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)
- მსოფლიო ფედერალური მოძრაობა-გლობალური პოლიტიკის ინსტიტუტი (WFM-IGP)
- ევროკომისია
- გერმან მარშალის ფონდის შავი ზღვის ფონდი, აშშ
- კანადის საელჩო
- ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ (OSGF)
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში
- ლიეტუვის საელჩო საქართველოში
- ბულგარეთის საელჩო საქართველოში
- აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტი/USAID;
- აშშ საელჩო საქართველოში

(HRC) ფინანსური ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემოსავლები: (ლარი)	
ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED)	176,860.55
ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)	138,082.82
ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)	28,227.13
ციხის საერთაშორისო რეფორმა სამხ. კავკასიაში (PRI)/ევროკომისია	56,210.10
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)/ევროკომისია	41,828
საზოგადოებრივი მონაწილეობის რესურსცენტრი (RCPP)	1,210.19
გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)	26,217
მსოფლიო ფედ. მოძრაობა-გლობალური პოლიტ. ინსტიტუტი (WFM-IGP)	13,230.46
ჯამი (შემოსავლები)	481,866.25

ხარჯები: (ლარი)	
ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED)	184,799.90
ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)	132,283.79
ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)	62,487.83
ციხის საერთაშორისო რეფორმა სამხ. კავკასიაში (PRI)/ევროკომისია	57,944.93
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)/ევროკომისია	83,328
საზოგადოებრივი მონაწილეობის რესურსცენტრი (RCPP)	1,317.45
გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)	21,728
მსოფლიო ფედ. მოძრაობა-გლობალური პოლიტ. ინსტიტუტი (WFM-IGP)	4,027.10
ჯამი (ხარჯები)	547,917.00

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლიდან ხარჯმა შეადგინა 547,917 ლარი




ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED)
ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)
ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)
ციხის საერთ. რეფორმა სამხ. კავკასიაში (PRI)/ევროკომისია
კავკასიის გარემოსდაცვითი არას. ორგ. ქსელი (CENN)/ევროკომისია
საზოგად. მონაწილეობის რესურსცენტრი (RCPP)
გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
მსოფლიო ფედ. მოძრ-გლობ. პოლ. ინსტიტუტი (WFM-IGP)
33.73%
24.14%
11.40%
10.58%
15.21%
0.24%
3.97%
0.73%

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობა ფოტოებში